



HEMPADUR QUATTRO 17634

17634: BASE 17636: CURING AGENT 97334

აღწერილობა: HEMPADUR QUATTRO 17634 - ორკომპონენტური, უნივერსალური ეპოქსიდური გრუნტ-საღებავი, რომელიც ქმნის მყარ და მტკიცე საფარს, გამოირჩევა მაღალ აბრაზიულობით, ზღვის წყლისა და ნავთობპროდუქტების მიმართ მედეგობით.

რეკომენდაცია გამოყენებისათვის: გამოიყენება გემის ძირის, სატვირთო ცისტერნების შესაღებად. შესაძლებელია გამოყენებულ იქნას დაბალ ტემპერატურაზეც კი - მინუს 10°C, ასევე დახურულ სივრცეში, როცა საჭიროა სწრაფი გამრობა.

მიწოდება: ჩართულია საერთო ასორტიმენტში. მიწოდება ხორციელდება წინასწარი შეკვეთით.

ფიზიკური მახასიათებლები:

ფერის ნომერი/ფერი:	50630*/ წითელი
შესახედაობა:	ნახევრად გლუვი
მშრალი ნაშთი. %:	72 ± 1
თეორიული ხარჯი:	5.8 მ ² /ლ [232.6 sq.ft./US gallon] - 125 მკმ/5 მილ
კრიტიკული წერტილი:	27 °C [80.6 °F]
ხვედრითი წონა:	1.4 კგ/ლ [11.6 ფუნტი/US გალონი]
გამაგრება:	4 საათი 20°C/68°F 9 საათი 5°C/41°F

აქროლად ნივთიერებათა რაოდენობა: 275 გ/ლ [2.3 ფუნტი/US გალონი]

დაფარვა:

პროდუქტის ნომერი:	17634
შერევის პროპორციები:	BASE 17636: CURING AGENT 97334 4:1 მოცულობით
დაფარვის მეთოდი:	უჰაერო გაფანტვა/ფუნჯი/კატოკი
გამხსნელი:	08450 (5%) / 08450 (5%) / 08450 (5%)
საფარის სისქე, მშრალი:	125 მკმ [5 მილ]
საფარის სისქე, სველი:	175 მკმ [7 მილ]

უსაფრთხოების მეთოდები: აუცილებელია ეტიკეტსა და შეფუთვაზე მითითებული უსაფრთხოების წესების დაცვა.

ზედაპირის შესაღებად მომზადება: აუცილებელია ახალი ფოლადი გაწმენდილ იქნას ყველანაირი ზეთის, ცხიმისა და მარილისგან შესაბამისი მასალით. სატვირთო ნავთობცისტერნები საჭიროებს განსაკუთრებულ დამუშავებას.

დაფარვის პირობები: გამოიყენება მხოლოდ მაშინ, როდესაც დაფარვა და გამაგრება შესაძლებელია -10°-ზე მეტ ტემპერატურაზე. ზედაპირის ტემპერატურა უნდა იყოს აღნიშნულზე მეტი. საღებავის ოპტიმალური ტემპერატურა შეადგენს 15°C და მეტს. აუცილებელი პირობაა ზედაპირის სიმშრალე, სისუფთავე და დახურულ სივრცეებში ვენტილაციის უზრუნველყოფა.

